

# ნოტარიატი საერთო მსოფლიო გლობალური პროცესების წინაშე

პროფესორი, სამართალის დოქტორი, ნოტარიუსი  
ქვეფა ა. ტალპისი

მონრეალის უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ნოტარიატი საერთო მსოფლიო გლობალური პროცესების წინაშე 1)

მონრეალის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, სამართალის დოქტორი, ნოტარიუსი

ქვეფა ა. ტალპისი

დღესდღეობით ნოტარიუსი სერიოზულ ცვლილებებს აწყდება, რომლებსაც, ზოგიერთის აზრით, საშიში ტენდენცია ახასიათებს. მაგალითის სახით შეიძლება მიუთითოთ პროფესიული პროფილის გაფართოება, არაიურისტი პირების მიერ იურიდიული საკითხებით დასაქმება, სამართლებრივი ნორმების შესუსტება. ეს თავის გამოხატვას პოულობს სადაზღვევო კომპანიების, ბანკების, აუდიტისა და საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალისტების და სხვა პროფესიის წარმომადგენლების მიერ იურიდიული ბაზრის დაპყრობაში. იზრდება ელექტრონული გარიგებების რიცხვი, რაც ახალ პრობლემებს წარმოქმნის: ელექტრონული ხელმოწერის გარანტია, სასამართლო წარმოება ინტერნეტის მეშვეობით დადგებულ კონტრაქტებთან დაკავშირებულ სარჩელებზე, უშუალოდ მსოფლიო ქსელიდან მიღებული სამართლებრივი ინფორმაცია. და ბოლოს, საერთაშორისო ხასიათის საერთო მსოფლიო გლობალური პროცესები. სწორედ ამგვარი სახის მოვლენებთანუხედება დღეს შეჯახება ნოტარიატს, და ჩემს სტატიაში მინდა გაგიზიაროთ ზოგიერთი ჩემი მოსაზრება ამასთან დაკავშირებით.

მე გამოვიყენებ სხვადასხვა შინაარსის მქონე სამ ძირითად ტერმინს: **ინტერნაციონალიზაცია** (საერთაშორისო ხასიათი), **მონდიალიზაცია** (საერთო მსოფლიო ხასიათი) და **გლობალიზაცია** (გლობალური ხასიათი) და განვიხილავ ამ სამი მოვლენის ზეგავლენას სანოტარო საქმიანობაზე. მე ვუჩენებ, თუ რასთან გვიხდება შეჯახება და როგორია ჩვენი მიზნები და ამოცანები, აგრეთვე შემოგთავაზებთ ზოგიერთ დონისძიებას, რომელიც უნდა განხორციელდეს არსებულ პირობებში.

ინტერნაციონალიზაცია – ეს ეროვნებათა ან სახელმწიფოთა შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობების აღწერა, კერძოდ, საერთაშორისო ვაჭრობის კონტექსტში. ამ სიტყვის უფრო ფართო გაგებით ეს ტერმინი შეიცავს პირადი, ოჯახური, პროფესიული და კომერციული ურთიერთობების გაფართოებას იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის ადგილმდებარეობით სხვადასხვა ქვეყნებში.

1) სტატიას საფუძვლად უდევს მოხსენება „საერთაშორისო ფორუმზე“ 2001 წლის 5 ოქტომბერს ათენში ჩატარებული ლათინური ნოტარიატის საერთაშორისო კონგრესის დროს.

ფრანგული სიტყვა „მონდიალიზაციონ“ გამოიყენება, როგორც წესი, ინგლისური გლობალიზაციონის გადასათარგმნად. მაგრამ, მიუხედავად ჩემი პატივისცემისა სხვისი აზრისადმი, მე მიმართია, რომ „მონდიალიზაცია“- ეს გლობალიზაციისგან განსხვავებული ცნებაა, რომელიც პლანეტარულ ექსპანსიას გულისხმობს, და რომელშიც ადამიანების, საქონლისა და კაპიტალის მუდმივი მიმოქცევა ხდება. ბიზნესის სამყაროში მონდიალიზაციისთვის დამახასიათებელია, კერძოდ, წარმოებისა და საწარმოების გადაადგილება სხვა ქვეყნებში, უცხოური საწარმოების შეძენა და სავაჭრო ბარიერების ლიკვიდირება.

გლობალიზაცია – ეს მონდიალიზაციის შედეგია, რომელიც მდგომარეობს ეროვნული ეკონომიკების ინტეგრაციაში ე.წ. გლობალურ ეკონომიკაში, კერძოდ, სავაჭრო გაცვლების, კაპიტალის თავისუფალი ბრუნვის და ადვილად განმახორციელებადი და არაკონტროლირებადი იმიგრაციის წყალობით. მძლავრი ეკონომიკური ინტერესები ამსხვევებს. მრავალრიცხოვანი გუშინ ერთიან დღევანდლად იქცევა. ამავე დროს, ბევრს ებადება კიოხვა, ნამდვილად იძლევა თუ არა გლობალიზაცია პოზიტიურ შედეგებს. ერთი აშკარაა – გლობალიზაციის პროცესი შეუქცევადია და არა მხოლოდ ეროვნული ეკონომიკების, არამედ კულტურის, გარემოცვისა და მართლმსახულების მიმართ, რომლებიც თავის მხრივ გლობალურ ხასიათს იძენენ.

გლობალიზაციის ერის დადგომასთან ერთად ტრადიციულმა საზღვრებმა დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა, რის მკაფიო მაგალითია რეგიონალიზაცია თავისი ახალი კანონიერი პოლიტიკური საზღვრებით. ამის ერთერთ საუკეთესო ილუსტრაციას ევროპული კავშირი და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ჩრდილოეთ ამერიკული შეთანხმება წარმოდგენენ, რომლებსაც გლობალიზაციის ნიშნები ახასიათებს 2). ეროვნული კანონების ერთსახოვნებისა და პარმონიზაციის უზრუნველყოფის და კავშირის წევრ-ქვეყნების მიერ ამ ქვეყნებში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების აღიარების მიზნით ევროპული მოდელი ქმნის ისეთი ინსტიტუტების მთელ რიგს, როგორიცაა ევროპის საბჭო, ევროპის კომისია, ევროპული სასამართლო, და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ჩრდილოეთ ამერიკული შეთანხმების მოქმედება ყოველი მონაწილის ტერიტორიაზე რეგულირდება ეროვნული ინსტიტუტების მიერ ყოველ ქვეყნაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების შესაბამისად 3).

2) ix. H. Patrick Glenn “Conflicting laws in a Common Market?” The NAFTA Experiment, t. 76(2000) Chicago-Kent Law Rev. #3, p. 1789. agreeTve arsebobs MERCASUR (“mercado comun de sur”) – rig samxreT-amerikuli სახელმწიფოს კავშირი - მიერ მიღებული ნორმები, კერძოდ, რიგ ოქმებში (ბრაზილია, ლას-ლეფლასი, სან-ლუისი, სანტა-მარტინი, ვურო-პრეტო).

3) იქვე გვ. 1791

ევროკავშირში მოქმედებს სხვადასხვა დირექტივები, რომლთა მიზანია რაიმე ერთსახეობის ან, სულ ცოტა, პარმონიზაციის მიღწევა სხვადასხვა კანონმდებლობებს შორის გარკვეული რეგიონის ჩარჩოებში, კერძოდ, აქციონერული სამართალის, სახელშეკრულებო სამართალის, დეფექტური პროდუქციის, ვაჭრობის, ელექტრონული ხელმოწერისა და სანოტარო აქტების სფეროში 4). ამგვარი ევროპიზაციისგან განსხვავებით, პარმონიზაციის მიღწევა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ჩრდილოეთ ამერიკული შეთანხმების წევრ ქვეყნების კანონმდებლობებს შორის უფრო, ალბად, არაოფიციალურ ხასიათს ატარებს. ეროვნული კანონები იცვლება არა იმიტომ, რომ ამას თავად ხელშეკრულება მოითხოვს, არამედ იმის გამო, რომ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ჩრდილოეთ ამერიკული შეთანხმებამ შეცვალა კონტექსტი, რომელშიც ისინი გამოიყენება. 5) ჩრდილოეთ ამერიკაში არ მოქმედებს ბრიუსელის ხელისუფლება და არ არის დირექტივები, რომლებიც ერთსახეობასა და პარმონიზაციას მოითხოვენ კერძო სამართალში. მაგრამ, სამართალის ზოგიერთი სფეროს არაოფიციალური პარმონიზაცია ხორციელდება წევრ სახელმწიფოთა საერთაშორისო კერძო სამართალის ნორმებში ზოგიერთი შესწორებების შეტანის გზით. 6)

სრულიად ნათელია, რომ სრული გლობალიზაცია არასოდეს არ იქნება შესაძლებელი, მაგრამ ამის მიუხედავად სამართალის გლობალიზაციის პროცესი რეალურად ფართოვდება, რაც თვალსაჩინოთ დასტურდება სამართალის სხვადასხვა სფეროს გამაერთიანებელი ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების და შეთანხმებების მზარდი რიცხვით, ეროვნული საზღვრების მიუხედავად მომუშავე მსხილი საერთაშორისო იურიდიული დაწესებულებების მზარდი რაოდენობით, და ბოლოს, ტრანსეროვნული კორპორაციების საქმიანობით მსოფლიო მასშტაბით.

ნებისმიერი დისკუსია ლათინურ ნოტარიატზე გლობალიზაციის ზეგავლენის საკითხზე სრულყოფილი არ იქნებოდა მსოფლიო საგაჭრო ორგანიზაციის (მსო) როლის გავითვალისწინების გარეშე, რადგანაც სწორედ ის განსაზღვრავს, სად და რა პირობებით შეიძლება განხორციელდეს ესა თუ ის პროფესია. სავაჭრო სანქციების გამოყენების უფლება საშუალებას აძლევს ამ ორგანიზაციას შეზღუდოს და გააკონტროლოს იურიდიული პროფესიის განხორციელება გარკვეულ ქვეყანაში.

4) იქნა, გვ. 1791. სანოტარო აქტების მიმართ ი. 2001 წლის 22 დეკემბრის ევროპული გაერთიანების №44 რეგლამენტის გვ. 57 მართლმსაჯულების კომპეტენციისა და უცხო ქვეყნების სასამართლო გადაწყვეტილებების აღიარებისა და შესრულების შესახებ, „ურნალ ეფისიელ“ 012, 16/01/2000.

5) შენიშვნა 2, იქნა, გვ. 1796

6) იქნა, გვ. 1799 და შემდგომი.

. მსოფლიო პროცესების შედეგები ნოტარიული პრაქტიკისათვის

## 1. ჯერ არასდროს ყოფილა პირადი და კომერციული ურთიერთობები ასეთი „ინტერნაციონალური“

ყველამ ვიცით, რომ ვაჭრობა სულ უფრო და უფრო საერთაშორისო ხასიათს იძენს, და იმისათვის, რომ გლობალური ეკონომიკის პირობებში გადავრჩეთ, საკმაოდ ბევრი საწარმო იძულებულია აწარმოოს თავისი საქმეები საზღვარგარეთ. ეს ნიშნავს, რომ მათი ეკონომიკური საქმიანობის ერთი ან რამდენიმე შემადგენელი უცხოურ წარმოშობას იძენს: გაროგების ერთერთ მხარეს, მაგალითად, შეიძლება უცხოური პარტნიორი წარმოადგენდეს, გარიგებასთან დაკავშირებული ანგარიშსწორება შეიძლება არა ეროვნულ, არამედ უცხოურ ვალუტაში წარმოებდეს, დაფინანსება შეიძლება განხორციელდეს უცხოური კრედიტების მეშვეობით, ტექნოლოგიას შეიძლება ქონდეს უცხოური წარმოშობა და ა.შ. გარდა ამისა, მუდმივად იზრდება ოჯახურ და სოციალურ პარტნიორთა რიცხვი, რომლებიც ექვემდებარებიან არა ერთ, არამედ სხვადასხვა იურისდიქციას. ამის შედეგად, სამართალის თითოეული დარგი საერთაშორისო ხასიათს იძენს. როგორც მოსალოდნელი იყო, წარმოიქმნება კონფლიქტები. დავები სულ უფრო ინტერნაციონალური ხდება და განხილვები სხვადასხვა იურისდიქციას ექვემდებარება. ასეთია დღესდღეობით რეალური ვითარება იურიდიულ პრაქტიკაში.

## 2. კონტაქტი სხვადასხვა იურიდიულ სისტემებს შორის

იურიდიულ სისტემებს შორის კონტაქტების დამყარება მონდიალიზაციის შედეგების ცენტრში აღმოჩნდა. ინფორმაციის სწრაფმა გაცვლამ და ბევრ ქვეყანაში ახლახან ჩატარებულმა სამართლებრივმა რეფორმებმა ხელ შეუწყო სამართალის მსოფლიო ბანკის წარმოქმნას: რომაულ-გერმანული და ანგლო-საქსური (ცომმონ ლაწ - არაკოდიფიცირებული სამართალი). ამის შედეგად ბევრი ახალი კანონი და სამოქალაქო კოდექსი მთელ მსოფლიოში შერეულ ან პიბრიდულ ხასიათს ატარებს.

## 3. ანგლო-საქსური სისტემის მზარდი ზეგავლენა

სისტემა ცომმონ ლაწ ბევრ ქვეყანაში მოქმედებს. ზოგიერთ ქვეყანაში იგი უსასრულოდ არის გაბატონებული: მაგალითად, ავსტრალია, ბანგლადეში, ბაჰამისა და ბერმუდის კუნძულები, კიპრი და გრეკადა, კანადა (კვებეკის გარდა), ინდოეთი, ფიჯის კუნძულები, ირლანდია, იამაიკა, ახალი ზელანდია, პაკისტანი, სინგაპური, მალაზია, ამერიკის შეერთებული შტატები და ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო. სხვა ქვეყნებში იგი თანააესებობს სხვა იურიდიულ სისტემებთან. ასე, მაგალითად, არგენტინაში, არუბას კუნძულზე, ბახრეინში, ბრუნეაში, კამბოჯაში, კვებეკში, კუბაზე, ეგვიპტეში, სალვადორში, გონდურასში, ისრაელში, იაპონიაში, კენიაში, სამხრეთ კორეაში, მალდივის კუნძულებზე, ფილიპინებზე, სამხრეთ აფრიკაში, შრი ლანკაში, ტანზანიაში, იემენში, ზიმბაბვეში და ზამბიაში, და აგრეთვე სკანდინავიის ქვეყნებში, დანიაში, ფინეთში, ნორვეგიაში და შვეციაში.

გარდა ამისა, სამოქალაქო სამართალის ზოგიერთ ქვეყანაში ცომმონ ლაშინ ინსტიტუტების მზარდი დანერგვის პროცესები შეინიშნება, რაც სამართალის ზოგიერთ სფეროში ამ სისტემის შედარებითი უპირატესობების, მაგალითად, ფინანსირებისას, ან პოლიტიკური და ეკონომიკური ზეგავლენის შედეგს წარმოადგენს.

სხვა მოვლენა, რომელიც ხელს უწყობს ანგლო-საქსური სისტემის ზეგავლენის ზრდას, უშუალოდ დაკავშირებულია იურიდიული პრაქტიკის გლობალიზაციასა და ინტერნაციონალიზაციასთან. ბევრ ქვეყანაში იქმნება მსხვილი ამერიკული და ბრიტანული სადგორებული, ბიუროები, მათ შორის სამოქალაქო სამართალის საკითხებზეც, რომლებიც, ძირითადად, საერთაშორისო ვაჭრობისა და დავების სამართლებრივი საკითხებით არიან დასაქმებული. ესეთ ბიუროებს წარმოადგენენ, მაგალითად, ჩოუდერტ როტკერს, აკერ & ც ენზიე, ჰავე, ოველლს ანდ რესპონსიული და მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში მუშაობენ, სამუშაო ენად ისინი ინგლისურ ენას იყენებენ, ცომმონ ლაშინ პრინციპებით ხელმძღვანელობენ და ხშირად მასპინძელი ქვეყნის კანონებსა და ადგილობრივ პრაქტიკას უგულველყოფენ. გარდა ამისა, საერთაშორისო იურიდიული პრაქტიკის მსხვილ მონაწილეებად საბუღალტრო აღრიცხვის ტრანსნაციონალური კომპანიები (“იგ ივე”) იქცა. 7) ადვოკატების მომსახურებით სარგებლობენ არა მარტო ეს მსხვილი ფირმები. საფრანგეთში, ესპანეთში და სამოქალაქო სამართალის ბევრ სხვა ქვეყანაში მსხვილი სადგორებული ბიუროები მსხვილ აუდიტურ და საკონსულტაციო ფირმებს ეკუთვნიან ან მათთან აფილირებული არიან.

#### 4. სამეწარმეო სამართალის სფეროში საერთაშორისო

##### ნოტარიული საქმიანობის უმნიშვნელო წილი

უნდა აღინიშნოს, რომ ნოტარიატს ჯერ არ ეკუთვნის სათანადო ადგილი საერთაშორისო ვაჭრობაში. სრულიად აშკარაა, რომ სანოტარო აქტების ფორმალიზმი ცუდად უთავსდება ბიზნესის სამყაროს მოძრაობის უნარსა და მოქნილობას. 8)

7) Ernst and Yang, Arthur Anderson, Deloitte & Touch, KPMG et Price Waterhouse Coopers

8) Georges Droz `saerTaSoriso notariuli saqmianoba~, t. 280, haagis აკადემიის ლექციების კრებული (1999), 13, გვ. 64-65

გარიგების მონაწილეობა განკარგულებაში დღეს არის ჩვეულებრივი საფოსტო კავშირი, ექსპრეს-ფოსტა, ფაქსიმილური და ელექტრონული ფოსტა, რაც ეხმარება მოლაპარაკებათა წარმოებას ერთმანეთისგან დიდი დაშორებისას და არ საჭიროებს თავისი წარმომადგენლის გაგზავნის აუცილებლობას. ამ პირობებში ნოტარიუსის როლი მხოლოდ რჩევების მიცემაში და კონსულტაციების გაწევაში გამოიხატება, და საკმაოდ შეზღუდულია აგრეთვე მისი როლი, როგორც საჯარო სამართალის თანამდებობრივი პირისა, გარდა უმრავ ქონებაზე იპოთეკის გარანტიის ქვეშ საერთაშორისო კრედიტების და მინდობილობების შემთხვევებისა.

## 5. სანოტარო აქტების საერთაშორისო ბრუნვის პროცედურები

აქ შეიძლება გამოყოფილ იქნას, სულ ცოტა, ხუთი პროცედურა:

**პირველი:** ერთსახეობის არ არსებობა უცხოური სანოტარო აქტის წარმოშობის მტკიცებულებაში. სხვადასხვა ქვეყანაში მოითხოვება ლეგალიზაცია – ხანგრძლივი, მოუქნელი და ძვირად ღირებული ფორმალობა. მაგრამ, იგი გამარტივებულია სახელმწიფოებში, რომლებშიც მოქმედებს 1961 წლის ჰააგის კონვენცია, რომელიც აუქმებს უცხოური საჯარო აქტების (აპოსტილების) ლეგალიზაციის მოთხოვნას. ამით იქმნება დიდი ჯგუფი, რომელიც შემდგარია კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოთაგან, და აგრეთვე იმ სახელმწიფოთაგან, რომლებიც ჰააგის კონფერენციის წევრები არ არიან. გარდა ამისა, ლეგალიზაციის მოთხოვნა მთლიანად ამოღებულია ბევრ ორმხრივ შეთანხმებიდან და ზოგიერთ ეროვნულ კანონიდანაც კი. 9)

**მეორე:** ერთსახეობის არ არსებობა კანონმდებლობაში სანოტარო აქტის დამამტკიცებული ძალის გამოყენების შესახებ. ზოგიერთ სახელმწიფოში ის განისაზღვრება ქვეყნის სასამართლოს კანონით როგორც საპროცედურო საკითხი, ხოლო სხვა ქვეყნებში გამოიყენება კანონი სანოტარო აქტის წარმოშობის შესახებ.

**მესამე:** ერთსახეობის არ არსებობა სახელმწიფო ორგანოების მონაწილეობის მიმართ. ზოგიერთის აზრით, ნოტარიუსის მონაწილეობა – მხოლოდ ფორმის საკითხია. სხვათა აზრით, ნოტარიუსის მონაწილეობის

9) მაგალითად, კვებეკის სამართალში, ი. კვებეკის სამოქალაქო კოდექსის გვ. 2822

გაანალიზება მხოლოდ ფორმის კუთხით ნიშნავს ამ მონაწილეობის პასიურობის გაზვიადებას და მისი როლის აქტიური ხასიათის უარყოფას.

10)

**მეოთხე:** უცხოური სანოტარო აქტების 11), ზოგიერთი ორმხრივი ხელშეკრულების და ბრიუსელის ახალი რეგლამენტის 13) ზოგიერთი ეროვნული კანონით 12) სრულუფლებიანი აღიარების გარდა, არ არსებობს არანაირი მრავალმხრივი შეთანხმება, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოს აღიაროს საზღვარგარეთ დამოწმებული სანოტარო აქტები. მაგრამ უფრო სერიოზულია, რომ უცხოური სანოტარო აქტები ასეთად არ მიიჩნევა ცომმონ ლაშ სახელმწიფოთა სასამართლოების მიერ (მაგალითად, აშშ-ს სასამართლოების მიერ) რადგან ისინი თვლიან, რომ ლათინური ტიპის ნოტარიუსს არ შეუძლია მიცეს დამოუკიდებელი იურიდიული რჩ ვა იურიდიული აქტის ყველა მონაწილე მხარეს.

10) C. Pamboukis `sajaro ucxouri aqtı saerTaSoriso sasamarTloSi~, gamocema Librairie generale de droit et de jurisprudence, Paris, 1993, 809.

- 11) სანოტარო აქტების „აღიარება“ ნიშნავს მათთვის იურიდიული ძალისა და ქმედების მინიჭებას, რომლებითაც ისინი სარგებლობენ იმ ქვეყანაში, სადაც მოხდა მათი დამოწმება. იხ. მ. რენოს 1968 წლის 17 სექტემბრის მოხსენება კონვენციის შესახებ კვებეკის სასამართლო კომპეტენციისა და სამოქალაქო და კომერციულ სფეროებში გადაწყვეტილებების შესრულების თაობაზე.
- 12) ბელგიის, საბერძნეთისა და კვებეკის ფინანსური გეგმის თანახმად; იხ. ჟ. ტალპისი „უდავო პრაქტიკა კვებეკის საერთაშორისო სამართლებრივი“ (1981) 15 ღ. 313.
- 13) საბჭოს 29 მაისის რეგლამენტი (ევროსაბჭო) 1347/2000; კომპეტენციის, მეუღლეებს შორის ქონებრივ ურთიერთობათა და საერთო შვილების წინაშე მშობელთა პასუხისმგებლობის საკითხებში გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულების თაობაზე; „უურნალ ოფისიელ ევროკავშირი“, გამოცემა 160, 2000 წლის 30 ივნისი, გვ. 19.

**მეხუთე:** ბრიუსელის კონვენციის, ლუგანოს კონვენციის და 57-ე მუხლისადმი და 2000 წლის 22 დეკემბრის რეგლამენტისადმი მიმართვის შეზღუდული გამოყენების შემთხვევების გარდა, ნოტარიულ აქტებს, რომლებსაც აღმასრულებელი ძალა გააჩნია მათი შესრულების ქვეყანაში, სხვა ქვეყნებში სასამართლო გადაწყვეტილების ძალა არა აქვთ.

თავის თავად ცხადია, რომ ყველა ამ პრობლემას შეუძლია შეზღუდოს ნოტარიუსთან მიმართვის შემთხვევათა რიცხვი. საქმე სხვაგვარად შეიძლება ყოფილიყო და უნდა იყოს კიდეც, სანოტარო აქტებს რომ გააჩნდეს აუცილებელი იურიდიული ძალა მათი შესრულების ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ამგვარად, ფართო ინტერნაციონალური კავშირების მქონე ახალ ქლობალურ სამყაროში მთელი იმედი დამყარებულია ნოტარიუსის პრესტიჟსა და როლზე.

## 5. საერთაშორისო კონფლიქტების ალტერნატიული დარეგულირება

ამჟამად ნორმად იქცა საერთაშორისო დავების დარეგულირება არბიტრაჟის მეშვეობით. ეს შესაძლებელი გახდა გაეროს მუშაობის, ნიუ-იორკის კონვენციის და კერძო სამართლის უნიფიცირების საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ მომზადებული კომერციული კონტრაქტების პრინციპების შესახებ დირექტივის, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ჩრდილოეთ ამერიკული შეთანხმების საქმიანობის, და, ბოლოს, თვით საარბიტრაჟო ინსტიტუტების ძალისხმეულის წყალობით. მაგრამ არბიტრაჟი რიგ სირთულეებს აწყდება:

- პროცედურა საკმაოდ ნელია;
- დირექტულება მაღალია;
- არ არის არსებითი აპელაციის საშუალება;

- მოსამართლეთა მიკერძოებულობის შესაძლებლობა;
- დროებითი ზომების მიღებაში ან არბიტრაჟის ადგილის შეფასებაში სასამართლოების ჩარევის ალბათობის ზრდა (“ფორუმ ნონ ცონცინიენს”);
- პროცედურა ნაკლებად გამოსადეგია დავების გადასაჭრელად მხარეთა დიდი რაოდენობის მონაწილეობით.

გამორიცხული არ არის, რომ მომავალში ჩვენ ისევ ჩვეულებრივ სასამართლო პრაქტიკას დავუბრუნდებით, განსაკუთრებით, თუ მიღებული იქნება პააგის კონვენცია მართლმსაჯულების კომპეტენციის შესახებ და აღიარებულ იქნება სხვა ქვეყნებში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები.

რაც შეეხება მომრიგებლურ შუამავლობას, ის ნაკლებად გამოიყენებამ ტიპის საერთაშორისო იურიდიული ჩარჩოების არ არსებობის გამო, რომლებიც არსებობს არბიტრაჟისთვის. უფრო კი, შუამდგომლობის შესახებ შეთანხმებათა შედეგების სავალდებულობის გარანტიის არ არსებობის გამო. გარდა ამისა, გარიგებებზე დავების დარეგულირებას არ გააჩნია ის კვაზი-აღმასრულებელი ძალა, რომელიც ახასიათებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას. 14)

### . ამოცანები

1. საერთაშორისო საქმიანობასთან ორმაგი უუნქციის შეწყობა,  
რომელსაც ახორციელებს ნოტარიუსი შიდა სამართალში  
(საჯარო სამართალის თანამდებობრივი პირი და მხარეთა მრჩეველი)

პიველსარისხეოვანი მნიშვნელობა ენიჭება ნოტარიუსის უნარს განახორციელოს თავისი ფუნქციები ახალ საერთაშორისო კონტექსტში. ამისათვის მას უნდა პქონდეს შესაბამისი მომზადება და სისტემატურად უნდა აიმაღლოს თავისი კვალიფიკაცია, რათა იცოდეს არა მხოლოდ იმ ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართალის განსაკუთრებული მეთოდები, რომელშიც იგი მუშაობს, არამედ უცხო სახელმწიფოების ნორმებიც. საჯარო სამართალის თანამდებობრივი პირის როლში ნოტარიუსი მოსამართლის მსგავსად – იგივე სასამართლოა, და მან უნდა იმსჯელოს თავისი კოლიზიური ნორმიდან გამომდინარე. თუ ეს ნორმა საკუთარი კანონმდებლობის გამოყენებაზე მიუთითებს, ნოტარიუსმა სწირედ ის უნდა გამოიყენოს. ხოლო, თუ პირიქით, კოლიზიური ნორმა უცხოური კანონის გამოყენებაზე მიუთითებს, მაშინ აუცილებელია, რომ ნოტარიუსი მისი შინაარსიდან გამოდიოდეს. 15) მხარეთა მრჩეველის როლში ნოტარიუსმა შესაბამისი ზომები უნდა მიიღოს არა მხოლოდ დღევანდელი დღის სიტუაციების მიმართ, არამედ იმ სიტუაციების მიმართაც, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას მომავალში. ნოტარიუსის მისია გამაფრთხილებელ ხასიათს ატარებს, და მან, შესაძლებლობისამებრ, წინ უნდა იყუროს, რათა თავიდან აიცილოს საერთაშორისო დავები და კონფლიქტები.

## 2. ნოტარიული საქმიანობის გაფართოება საერთაშორისო

### გაჭრობაში

მიმდინარე საერთო მსოფლიო პროცესებთან დაკავშირებით, კერძოდ, სახელმწიფოთა შორის ბარიერების მოცილებისა და ინტერნეტის მსოფლიო ქსელის გაჩენის წყალობით, საერთაშორისო კომერციულმა საქმიანობამ ისეთი გაქანება მიიღო, რომ საერთაშორისო გაჭრობაში ისე თუ ასე ჩართული აღმოჩნდა ყველა საწარმო. ნოტარიუსმა, როგორც მხარეთა ტრადიციულმა მრჩეველმა, უნდა მოახდინოს ამ რეალობასთან ადაპტირება როგორც საჯარო სამართალის თანამდებობრივმა პირმა ან მხარეთა მრჩეველმა, ან ორივე ერთად.

14) ix. J. talpisi "Enforcement of Agreements to Mediate International Disputes and Mediated Agreements in Quebec Private International law" in *Association Henri Capitant, 'momrigebluri Siamavloba da კონფლიქტების დარეგულირების ალტერნატიული მეთოდები: ეროვნული და ინტერნაციონალური ასპექტები*", ჩოწანსვილლე, დიტიონს ვონ ლაის, 1997

15) როზ, ოპ.ციტ ნოტე, 8 პ. 47,48

## 3. ლათინური ნოტარიატის გაფართოება

ლათინურმა ნოტარიატმა ფართო გავრცელება პოვა აღმოსავლეთ ქვეყნებში, კერძოდ: რუსეთში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, მოლდავეთში, პუმინეთსა და ალბანეთში. დღესდღეობით ლატინურმა ნოტარიატმა მოიცვა ყველა კონტინენტი, მნიშვნელოვანი და არსებითი განვითარება პოვა აზიაში და მუსლიმანურ სამყაროშიც (მართო, მავრიტანია და ინდონეზია). ამ ქვეყნებში, რომლებიც გარდამავალ პერიოდს განიცდიან და დემოკრატიულ რეფორმებს ატარებენ, მალე გაიგეს ლატინური ნოტარიატის სისტების დამყარების ან რესტავრაციის მნიშვნელობა და ის, რომ ეს სისტემა დიდ უპირატესობებს იძლევა: ის სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის ინსტრუმენტს წარმოადგენს, უზრუნველყოფს მოსახლეობის სამართლებრივ დაცვას, რომელსაც პირველად გაუჩნდა შესაძლებლობა მიუკერძოებულ და სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელ მრჩეველს მიმართოს, რომელიც მკაცრად დაიცავს პროცესიულ საიდუმლოებას და საჯარო სამართალის თანამდებობრივი პირისა და მხარეთა მრჩეველის ფუნქციებს ასრულებსდავების თავიდან აცილების (გამაფრთხილებელი მართლმსაჯულება) და ინვესტიციების დაცვის მიზნით. მაგრამ, იმისათვის, რომ

ლათინური ნოტარიატის საერთაშორისო კავშირი ნამდვილად „გლობალური“ ორგანიზაცია გახდეს, აუცილებელია ასეთივე ძალის ხმევა ლათინური ნოტარიატის განვითარებისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში და ანგლო-საქსური სისტემის ბევრ სხვა ქვეყანაში (მაგალითად, კანადაში ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციაში), და აგრეთვე ჩრდილოეთ და მუსლიმანურ ქვეყნებში.

#### 4. შეფერხებების გადალახვა სანოტარო აქტების

საერთაშორისო ბრუნვის გზაზე

ეროვნული, რეგიუნალური და საერთაშორისო თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დავრწმუნდეთ იმაში, რომ:

- (ა) საზღვარგარეთ შესრულებული სანოტარო აქტის დამამტკიცებელი ძალა შეესაბამება ლეხ აუცილორის 16);
- (ბ) უცხოური სანოტარო აქტებისთვის მათი შესრულების ქვეყანაში მინიჭებული ძალა და ქმედითობა აღიარებულია სხვა სახელმწიფოების მიერ, მიუხედავად იმისა, მიეკუტვნება თუ არა ეს სანოტარო აქტები ლათინური ნოტარიატის სისტემას.

16) მივმართავთ რა , აუცილებლობის შემთხვევაში, ფუნქციათა ექვივალენტობის თეორიას; იხ. როზ, ოპ.ციტ ნოტე, 8 პ. 115 და ამბოჟკის, ოპ. ციტ. ნოტე 10, პ. 315, 316

- (გ) სანოტარო აქტის აღმასრულებელი ძალა (თუ ასეთი არსებობს) აღიარებულია სხვა სახელმწიფოების მიერ მიუხედავად იმისა, მიეკუთვნება თუ არა ეს სანოტარო აქტები ლათინური ნოტარიატის სისტემას.

#### 5. საერთაშორისო კონფლიქტების დარეგულირებასთან მიკუთვნებული

პრობლემების გადაწყვეტა ზოგიერთი ალტერნატიული მეთოდით

როგორც ზემოთ ავღნიშნე, აუცილებელია არბიტრაჟის ფუნქციონირების გაუმჯობესება ეროვნული და საერთაშორისო თვალსაზრისით და მომრიგებლობითი თანამშრომლობისა და გარიგებების შესახებ შეთანხმებების სავალდებულობის მოთხოვნა. არსებული პრობლემების ერთერთი უარყოფითი შედეგი შეიძლება გახდეს ჩვეულებრივ სასამართლო პრაქტიკასთან დაბრუნება. საერთაშორისო კერძო სამართალში თავისი მზარდი როლის წყალობით ნოტარიატს შეუძლია ხელი

შეუშალოს მოვლენათა ამგვარ განვითარებას და მნიშვნელოვნად შეამციროს დაგათა რიცხვი.

## 6. გლობალიზაციისადმი ადაპტაცია ნისნაფს იურიდიული პროფესიის წარმართვას მსოფლიო სოფლის მასშტაბში

იურიდიული პროფესიის ძირითადი ამოცანა სამართალისადმი საერთაშორისო კუთხით მიღებოდა და უსაზღვრებო სამყაროში მის განხორციელებაში მდგომარეობს. ნოტარიუსთა შორის ეს გამოწვევს იმას, რომ პირველ ხარისხის მნიშვნელობა მიენიჭება მათ საქმიანობას მრჩეველის როლში, რითაც უკანა პლანზე აღმოჩნდება საჯარო სამართალი თანამდებობრივი პირის ფუნქცია, განსაკუთრებით სამეწარმეო სფეროში. გლობალიზაციის გპოქაში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სამეწარმეო სამართალს და განხორციელდეს კონსულტაციები მეწარმეთავის, რათა მათ გაუადვილდეთ უცხოური ბაზრების დაპყრობა. ამისათვის აუცილებელია რეკომენდირებულ იქნას ნოვატორული და ეფექტური სამართლებრივი გადაწყვეტილებები მიმწოდებლებთან, მყიდველებთან, გამყიდველებთან და კონკურენტებთან ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავებასთან დაკავშირებით.

## ჩ. რაზეა გაკეთებული ფსონი და როგორია მიზნები

### 1. ნოტარიუსის როლის დიდი მნიშვნელობა

ცხადია, რომ ნოტარიუსთა უმოქმედობამ ეპოქის გამოწვევისადმი შეიძლება მსოფლიო არენაზე მათი როლის დაკნინება გამოიწვიოს. და რაც უფრო ცუდია, მათი პროფესიის ჩამორჩენას საერთო მსოფლიო პროცესებისგან გარდაუვალად თან სდევს პოზიციების დაკარგვა იმ სფეროებშიც კი, რომლებსაც არანაირი შეხება არა აქვს საერთაშორისო საქმიანობასთან. მაგალითად, სავაჭრო სამართალის დარგში ნოტარიუსი, რომელიც მხარეთა მრჩეველის როლს ასრულებს, შეიძლება შეცვალონ ადგოკატებმა, ბუღალტრებმა და სხვა სპეციალისტებმა. მოდერნიზაციის გზების მოქმედნა პირველ ხარისხის როლს იძენს ამ პირობებში.

### 2. ნოტარიუსის პროფესიული პასუხისმგებლობა

ანიჭებს რა იურიდიულ ძალას მის მიერ დამოწმებულ აქტებს, ნოტარიუსი განსაკუთრებით ფრთხილი უნდა იყოს საერთაშორისო ნოტარიული საქმიანობის განხორციელებისას. მას პროფესიული პასუხისმგებლობა აკისრია კოლხიური ნორმის, უცხოური ქვეყნის სამართლებრივი ნორმების ან სასამართლო ადგილის ქვეყნის კოლიზიური ნორმის არასწორად გამოყენების დროს. როგორც მხარეთა

მრჩეველი ის პასუხს აგებს არსებულ ან პოტენციურ საერთაშორისო იურიდიკ სიტუაციაში ზომების მიღების ან არ მიღების მიმართ არასწორ რჩევების მიცემაზე.

## ჩ. ზოგიერთი ზომა, რომელიც უნდა იქნას მიღებული

### 1. ყოველი ნოტარიუსის ან სანოტარო კონფორის მიერ

- (ა) მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს იურიდიულ მომზადებას, განსაკუთრებით საერთაშორისო ვაჭრობის და იმ სფეროებში, რომლებშიც უფრო და უფრო ხშირად წარმოიქმნება ინტელექტუალურ საკითრებასთან ან ელექტრონულ ვაჭრობასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონფლიქტები;
- (ბ) განხორციელდეს ნოტარიუსის ორივე როლის (საჯარო სამართალის თანამდებობრივი პირის და მრჩეველის) ადაპტაცია საერთაშორისო საქმიანობისადმი. მაგალითად, როგორც საჯარო სამართალის თანამდებობრივი პირი, ნოტარიუსი ვალდებულია მიიღოს აუცილებელი ზომები და დარწმუნდეს, რომ აქტი აღიარებულია და საჭიროების შემთხვევაში მიღებულ იქნება შესასრულებლად ყველა სახელმწიფოში, რომელსაც ეს პოტენციურად ეხება. უცხოური კანონმდებლობის გამოყენების შემთხვევაში მას შეუძლია ინტერნეტის ქსელის გამოყენება მისი შინაარსის გასაცნობად ან ამსთან პარალელურად იურისტს ან შედარებითი სამართალის ინსტიტუტს (მაგალითად ფრანგულ ცენტრს „კრიდონს“ - სანოტარო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი) მიმართოს მტკიცებულების სახით შესაბამისი ცნობის მიღების მიზნით;
- (გ) განვითარდეს გლობალური პრაქტიკა. მაგალითად, უზრუნველყოს თავისი დასწრება საზღვარგარეთ. აქ შესაძლებელია სხვადასხვა მეოთხები: უზრუნველყოს დასწრება სხვა ქვეყნებში თავისი კორესპონდენტის მეშვეობით, შექმნას სანოტარო კონტორების რაიმე სახის აღიანსი ან საერთაშორისო ქსელი, შექმნას საზღვარგარეთის ფილიალი ან კავშირი საადვოკატო ბიუროებთან სხვა ქვეყნებში. ავღნიშნოთ, რომ ჩრდილოეთ ამერიკაში და ვაჭრობის თავისუფლების შესახებ ჩრდილოეთ ამერიკის შეთანხმების წევრ ქვეყნებში რომელიმე შტატის ნოტარიუსს ან ადვოკატს ცალკეულ შემტხვევაში უფლება აქვს იქონიოს პრაქტიკა სხვა შტატში ან იყოს იურისკონსული თავისი შტატის ან საერთაშორისო სამართალის საკითხებზე. უფრო მეტიც, ზოგიერთ კონტორას შეუძლია შეიძინოს საერთაშორისო მანდატი ფართო მასშტაბის პროექტების განხორციელებისათვის საზღვარგარეთიურიდიული მომსახურების ექსპორტირების გზით, როგორც ამას აკეთებს ზოგიერთი საადვოკატო ბიურო და ცალკეული ნოტარიატები (კვებების, საფრანგეთის, შვეიცარიის, გერმანიის, ნიდერლანდებისა და ავსტრიის).

2. ლათინური ნოტარიატის საერთაშორისო კავშირის  
და/ან ყოველი ეროვნული ნოტარიუსის მიერ
- (ა) უზრუნველყოფილ იქნას აქტიური დასწრება საერთაშორისო და  
რეგიონალურ ორგანიზაციებში, ისეთებში, როგორიცაა: ჰააგის  
კონფერენცია, კერძო სამართალის უნიფიცირების საერთაშორისო  
ინსტიტუტი, გაეროს კომისია საერთაშორისო არბიტრაჟზე, ევროპის  
კავშირი, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო კერძო სამართალის  
ამერიკათშორისო კონფერენცია. მიწოდებულ იქნას აღნიშნულ  
ორგანიზაციებისთვის მოხსენებები და მომზადდეს რეკომენდაციები  
შეთანხმებების პროექტებზე;
- (ბ) მხარდაჭერა უნდა გაეწიოს კანონების მიღებას, და აგრეთვე  
მოლაპარაკებებს, ხელმოწერას, რატიფიცირებას და მათ მიერთებას  
მრავალმხრივ შეთანხმებებთან, რომლებიც განსაზღვრავენ და ამყარებენ  
შემდეგზე მიმართულ პრინციპებს:
- (ი) უცხოური სანოტარო აქტებისა და გარიგებების აღიარება და  
არსრულება, კერძოდ, სამოქალაქო და კომერციულ სფეროებში  
მართლმსაჯულების კომპეტენციისა და უცხოური სახელმწიფოების  
სასამართლო გადაწყვეტილებების აღიარების შესახებ მომავალი  
ჰააგის კონვენცია 17);
- (იი) საერთაშორისო სერტიფიკატის მეშვეობით არასრულწლოვანის,  
ქმედუუნაროდ გამოცხადებული სრულწლოვანის წარმომადგენლის  
ან ანდერძის შემსრულებლის უფლებამოსილებათა აღიარება;

17) უნდა ვივარაუდოთ, რომ მხოლოდ გლობალური გადაწყვეტილება მოგვცემს  
საშუალებას უზრუნველვყოთ მომხმარებელთა უფლებების დაცვის ეფექტურობა და  
მათი სამართლებრივი დაცულობის გარანტია, თუ მხედველობაში მივიდებთ, რომ  
გლობალურ ეკონომიკასთან ახალი ტექნოლოგიების შეთავსების პირობებში  
მომხმარებელთა დაცვისათვის მხოლოდ ეროვნული ნორმები საკმარისი არ ინება.

(იიი) დამყარებულ უნდა იქნას დამოუკიდებელი ნების გამოხატვის  
პრინციპი, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მხარეებს აირჩიონ  
კანონი და სასამართლო;

(ივ) მომრიგებლური შუამავლობის შესახებ  
შეთანხმებებთან დაკავშირებულ ქმედებათა სავალდებულობა.

ამგვარი რეხოლუცია უკვე მიღებულია ლათინური ნოტარიატის საერთაშორისო  
კავშირის მიერ 18)

18) 1999/2001 წ. რეზოლუცია –106: დათინური ნოტარიატის საერთაშორისო კავშირი  
თვლის რა, რომ საერთო დებულებების შემუშავება კომპეტენციის სფეროში  
იურიდიულ სისტემებს შორის კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით,  
მოქმედი კანონმდებლობა და დაცვის ღონისძიებათა აღიარება და  
განხორციელება

პირების ან მათი ქონების მიმართ ხელს შეუწყობს  
იურიდიული

ბარიერების თავიდან აცილებას საერთაშორისო გაცვლების გზაზე და  
დაეხმარება

#### ოჯახური

ურთიერთობების განვითარებას, ბავშვების საერთაშორისო დაცვას  
და საერთაშორისო ვაჭრობას.

თვლის რა, რომ ჰააგის კონფერენციის უკანასკნელ კონვენიათაგან ზოგიერთი

საერთაშორისო კერძო სამართალზე შეიცავს ნორმებს, რომლებიც მიმართულია  
დავების თავიდან აცილებაზე, კერძოდ თავისუფალი ნების გამოხატვის პრინციპების  
დამყარების და საერთაშორისო აღიარების გზით

მათი წარმომადგენლების სტატუსისა და უფლებამოსილებათა განმსაზღვრელი  
სერტიფიკატის მეშვეობით.

მიიჩნევს, რომ ჰააგის კონფერენციის ახლახან მიღებული კონვენციათაგან  
ზოგიერთი ქვემოთ მოყვანილი გამოთქმულ მოსაზრებებს შეესაბამება:

1973 წლის 2 ოქტომბრის კონვენცია (ადმინისტრაცია – მემკვიდრეობა);

1978 წლის 14 მარტის კონვენცია (მეუღლებს შორის ქონებრივი ურთიერთობების  
რეჟიმები);

1985 წლის 1 ივლისის კონვენცია (რწმუნებითი მართვა);

1989 წლის 1 აგვისტოს კონვენცია (მემკვიდრეობა – მოქმედი კანონმდებლობა)

#### პირთა მიმართ:

1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენცია (ბავშვთა დაცვა);

2000 წლის 13 იანვრის კონვენცია (მოზრდილთა დაცვა);

#### ვაჭრობის სფეროში:

1978 წლის 14 მარტის კონვენცია (საშუალებლო კონტრაქტები;

1986 წლის 22 დეკემბრის კონვენცია (ნასყიდობა)

დაუინებით გურჩევ ლათინური ნოტარიატის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტებს თავიანთი სახელმწიფოების კომპეტენტურ ორგანოებს მიმართონ და შესთავაზონ მათ ჰააგის კონფერენციის ჩამოთვლილი კონვენციების რატიფიცირება ან მათთან მიერთება.

3. ლათინური ნოტარიატის საერთაშორისო კავშირმა უნდა შექმნას პირობები, ხელი შეუწყოს განვითარებას და ყოველივე აუცილებელი გააკეთოს ლათინური ნოტარიატის სისტემის გაფართოებისათვის და იმ ქვეყნებში გავცელებისათვის, სადაც არაკოდიფიცირებული სამართალის (ცომმონ ლაწ) სისტემა მოქმედებს.

4. ლათინური ნოტარიატის საერთაშორისო კავშირმა ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო ნოტარიული საქმიანობის იმიჯის შექმნას, რისთვისაც უნდა მიიწვიოს:

- (ა) საერთაშორისო ნოტარიული თანამშრომლობის კომისია;
- (ბ) იმიჯისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისია;
- (გ) თემებისა და კონგრესების კომისია;
- (დ) საერთაშორისო გაცვლების მუდმივი ნოტარიული სამმართველო.

5. პროფესიული მომზადება, კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლების ჩათვლით (ლნსკ და ყოველი ეროვნული ნოტარიატი)

- (ა) თემები, რომლებიც განიხილება ლნსკ-ს კონგრესების და ყოველი ნოტარიატის მიერ, ყოველთვის უნდა შეიცავდეს საერთაშორისო შემადგენელს;
- (ბ) ევროპისა და ამერიკის საერთაშორისო აკადემიებმა ყველა ძალისხმევა უნდა გამოიყენონ შესაბამისი მიმართულებით, და ამსთან, აქცენტი გააკეთონ ტრანსნაციონალურ სამართლებრივ პრაქტიკაზე და გლობალიზაციის შედეგებზე;
- (გ) ყოველმა ნოტარიატმა თავისი ზეგავლენა უნდა მოახდინოს იურიდიულ ფაქულტეტებზე იმისათვის, რომ ამ ფაქულტეტების კუსდამთავრებული სპეციალისტები მომზადებული იყვნენ და პრაქტიკა ქონდეთ გავლილი საერთაშორისო სამართალის სფეროში. ყველა აღიარებს, რომ ჩვენ მსოფლიო სოფლის პირობებში ვცხოვრობთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არც თუ ისე ბევრი იურიდიული ფაქულტეტი მოინახება, სადაც სტუდენტებისათვის სამართალის სწავლება ხორციელდება საერთაშორისო კუთხით, და მათ იშვიათად ამზადებენ პრაქტიკული მუშაობისთვის უსაზღვრები სამყაროში. 19);
- (დ) წინასწარი მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების შემუშავებისას ყოველმა ნოტარიატმა და ნოტარიოლმა სასწავლო დაწესებულებამ უურადღება უნდა გაამახვილოს გლობალიზაციის პირობებში მუშაობის სწავლებაზე იმისათვის, რომ ყოველი ნოტარიუსი „საერთაშორისო ნოტარიუსი“ გახდეს, რომელიც კარგად მომზადებული იქნება საერთაშორისო სამართალის სფეროში.

19) თუმცა არის დამაიმედებელი ინიციატივები, რომლებიც წამოწყებულია კვებეკში მონრეალის, მაკ-გილის, ოტავისა და ლავალის იურიდიული ფაკულტეტების მიერ, რომლებიც მსოფლიოს პირობებში მუშაობისთვის სტუდენტების უკეთესი მომზადების საშუალებას იძლევა

(გ) პუბლიკაციები

ლნსკ-მა და ყოველ ნოტარიატმა უნდა წაახალისოს სატტიებისა და მოსაზრებების გამოქვეყნება საერთაშორისო სამართალის საკითხებზე, რათა ნოტარიატი დამყარდეს როგორც ახალი გლობალური მსოფლიოს მნიშვნელოვანი მონაწილე. ამისათვის საჭიროა გამოყენებულ იქნას ლათინური ნოტარიატის საერთაშორისო კავშირის გამოცემებიც:

„საერთაშორისო ნოტარიული ჟურნალი“, „საერთაშორისო ნოტარიუსი“

და აგრეთვე ეროვნული ნოტარიატის გამოცემები.

## დასკვნა

თუ ნოტარიული პროფესია რეაგირებას არ მოახდენს საერთო მსოფლიო გლობალური პროცესებით დღის წესრიგში წამოყენებულ ამოცანებზე, მისი წევრებისთვის ხემისაწვდომი იქნება ძალიან შეზღუდული ბაზარი. ნოტარიუსი ისევ ის დარჩება, რაც ყოველთვის იყო, მაგრამ საქმე ექნება ბაზრის მეორეხარისხოვან სფეროებთან, ეს კი ნიშნავს, რომ გამოიყენებს მის ძალიან მცირე ნაწილს. მაშ, რატომ უნდა დავთანხმდეთ ასეთ უმნიშვნელო როლზე, როდესაც მომავალი ამდენ ახალ გზას ხსნის ჩვენს წინაშე?